დავით მაზიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას, მრჩეველი საგანმანათლებლო-სამეცნიერო საკითხებში (2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით).

2016 წლიდან დავით მაზიაშვილი გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დირექტორია.

ავტორია მონოგრაფიისა „ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი“ (2014), აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები პოსტმოდერნიზმის, მოდერნიზმის, უილიამ შექსპირის, ტომ სტოპარდის და თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში შექსპირის რეცეფციის შესახებ. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი „რობერტ სტურუას იულიუს კეისარი. ფრაგმენტები სადადგმო რეპეტიციებიდან“. (2015).

2016 წ-ს დავითმა გაიმარჯვა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში“, პროექტისათვის „შექსპირის რეცეფცია XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის ინგლისურ ლიტერატურასა და თეატრში“ და 2017 წ-ს სამი თვით სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ოქსფორდის უნივერსიტეტში იმყოფებოდა.

დავით მაზიაშვილი რამდენიმე სამეცნიერო საგრანტო პროექტის წამყვანი სპეციალისტია: „შექსპირის თარგმნისა და შესწავლის ისტორია საქართველოში“ (თსუ, 2015 წ.) და „შექსპირის ტექსტი და მისი ადაპტაციის პრობლემა თეატრში“ (რობერტ სტურუას სპექტაკლების მიხედვით. თსუ, 2016 წ.).

დავითი მუდმივად მონაწილეობს არაერთ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო სიმპოზიუმსა და კონფერენციაში; არის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საერთაშორისო, ეროვნული და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების თანაორგანიზატორი და საგანმანათლებლო-სახელოვნებო და საგანმანათლებლო-ინტელექტუალური პროექტების ავტორი და ხელმძღვანელი. მათგან ყველაზე გამორჩეულია საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტების ციკლი „სტურუას შექსპირის სამყარო“ (2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით).

2010 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა „საკვირაო ლიტერატურული კლუბი“, დღემდე მისი ხელმძღვანელია.

ძირითადი საქმიანობის პარალელურად, 1999 წლიდან 2012 წლამდე იყო სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის წევრი, ხოლო 2005 წლიდან დღემდე ფოლკლორული ანსამბლ „შავნაბადას“ მომღერალ-მგალობელია.